საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 268

2019 წ. "20" 12

ქ.თბილისი

შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „აკრედიტაციის დებულების" 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან",

და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის შპს - საქართველოს უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №№03-8326 (ცენტრში რეგისტრაციის №1034641) სააკრედიტაციო განაცხადი „ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 27 სექტემბრის №900 ბრძანების საფუძველზე, შპს - საქართველოს უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 3 ოქტომბრის №918 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 18 ოქტომბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს - საქართველოს უნივერსიტეტში, ხოლო 2019 წლის 3 დეკემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თავმჯდომარე

მდივანი

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2019 წლის 20 დეკემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

2.5. საბჭოს გადაწყვეტილებით რჩევების ნაწილში იქნა გადატანილი შემდეგი რეკომენდაციები:

ა) პროგრამის მენეჯმენტი უნდა ისწრაფვოდეს საქართველოს უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის პროცესში საერთაშორისო მკვლევარების მეტი ჩართულობისკენ. ამგვარად, დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომი გახდება საერთაშორისო კვლევითი ლიტერატურა და გაცვლითი პროგრამები, რათა დააგროვონ გამოცდილება შესაბამის მიმართულებებში;
ბ) ხელმძღვანელები უნდა შედიოდნენ პროგრამის პერსონალის სიაში;
გ) საზღვარგარეთის (ევროპა და აშშ) სამეცნიერო საზოგადოებაში ჩართული დარგის საერთაშორისო ექსპერტების მიერ განხორციელებული გარე შეფასება ხელს შეუწყობს პროგრამის სრულყოფას, დოქტორანტურის სტუდენტებისა და ხელმძღვანელების საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის გზების მოძიებას, რომლებიც თანამშრომლობითა და უწყვეტი ინტერაქციით იმუშავებენ საკვლევ თემებზე. ეს ასევე გამოსადეგი იქნება სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის პროცესში, ასევე სკოლის/უნივერსიტეტისთვის კვლევითი განვითარების სტრატეგიის შედგენაში.

3. სარეზოლუციო ნაწილი

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 8 ხმით 1-ის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს - საქართველოს უნივერსიტეტის 2019 წლის 12 აგვისტოს №03-8326 (ცენტრში რეგისტრაციის №1034641) სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2019 წლის 20 დეკემბრის №71 სხდომის ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

თავმჯდომარე

მდივანი

4. საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) სადოქტორო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია უნდა იყოს მთავარი სამომავლო ძალისხმევა. ეს მოიცავს უცხოელი მკვლევარების ჩართულობას ხელმძღვანელობის პროცესში, ასევე საერთაშორისო, რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნების მოთხოვნა. ამ გამოცდილების გარეშე, კურსდამთავრებულები არ იქნებიან კონკურენტუნარიანი საერთაშორისო დონეზე;

ბ) საერთაშორისო ექსპერტების გარდა, ფაქტობრივი ხელმძღვანელები უნდა იყვნენ ჩართულნი არა მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოში, არამედ სადოქტორო პროგრამის შემუშავებაში. ეს ასევე ეხება ამჟამინდელ ან ყოფილ დოქტორანტებს;

გ) დაზუსტდეს პროგრამაზე მიღებისათვის საჭირო, ისტორიის სფეროში არსებული ფორმალური თუ არაფორმალური ცოდნა და კომპეტენციები. ეს დაეხმარება აპლიკაციების უზრუნველყოფას სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ან დისციპლინებიდან, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ასეთი ძალიან ცოტაა. კარგად განხორციელებული წინასწარი შერჩევა წარმატებისა და მაღალი ხარისხის კვლევის შედეგების გარანტია;

დ) პროგრამაში დაემატოს დოქტორანტთა ხელმძღვანელები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ მონაწილეობენ სწავლების პროცესში, მათი წვლილი კვლევის კომპონენტში, გადამწყვეტია მთლიანი პროგრამის წარმატებისთვის;

ე) უზრუნველყოფილ იქნეს, რომ სტუდენტები გაეცნონ საკმარისი რაოდენობის კრედიტების მოცულობის (არა მხოლოდ დისციპლინური კურსებისთვის გამოყოფილი 10 ECTS-ით) ისტორიულ კვლევებს არა მარტო რეგიონულ ისტორიაზე, არამედ ისტორიულ მეთოდოლოგიაზეც;

ვ) უნდა გაიზარდოს ისტორიოგრაფიული საკითხების შესახებ კურსების წილი ან აკადემიური წერის და სხვა მეთოდოლოგიური კურსები უნდა შეუსაბამოთ ისტორიული კვლევის მოთხოვნებს;

ზ) საერთაშორისო ისტორიოგრაფიის ერთ არჩევით კურსს, რომელიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ შესაბამის რეგიონებთან, შეუძლია უზრუნველყოს ინფორმაცია საერთაშორისო სტანდარტების, მიდგომების და კვლევის მეთოდების ან ისტორიული კვლევის ეპისტემოლოგიური საკითხების შესახებ (ისტორიის თეორია). ეს ხელს შეუწყობს ისტორიის კვლევის მეთოდების სრულ ფოკუსირებას მეთოდებზე და მათ გამოყენებას კვლევის პრაქტიკაში.

თ) პროგრამის შემმუშავებლები, ჩართული ხელმძღვანელები და ლექტორები უნდა უზრუნველყოფდნენ, რომ სასწავლო პროგრამის კონკრეტული კურსით განსავითარებელი უნარები სათანადოდაა შესწავლილი და შეფასებული, ისევე, როგორც კვლევითი კომპონენტი (კვლევის პრეზენტაცია საერთაშორისო კონფერენციებზე, პუბლიკაციები რეფერირებად აკადემიურ ჟურნალებში, უმაღლესი განათლების სახელმძღვანელოების მომზადებაში, (თანა) სწავლებაში უნივერსიტეტში და სხვ.);

ი) უნივერსიტეტისა და პროგრამის მენეჯმენტი უნდა დაეხმაროს ლექტორებს და ხელმძღვანელებს, დოქტორანტების პროფილის შესაბამისად სწავლებისა და სწავლის, უფრო მრავალფეროვანი მეთოდების შემოღებაში. ამ მიზნით, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომებისათვის მათ შეუძლიათ დაეყრდნონ თანამედროვე სწავლების მეთოდებში სპეციალისტებს;

კ) უნივერსიტეტის მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის ძირითადი პერსონალის ხელშეწყობა და თავისი კვლევით საერთაშორისო ისტორიული საზოგადოების დონეზე მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. ამის გარეშე, მათ გაუჭირდებათ გააცნონ თავიანთ დოქტორანტებს საერთაშორისო კვლევის სტანდარტები და ქსელები, როგორც ეს მოცემულია პროგრამის მიზნებში.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 12 თვე - 2021 წლის 11 იანვრამდე.

თავმჯდომარე

მდივანი

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს - 2020 წლის 08 იანვარი.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თამჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილი

საბჭოს მდივანი ნინო ლიპარტია

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ისტორია
2.	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3.	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4.	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 24 დეკემბერი, №294
5.	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	ისტორია
6.	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	დოქტორანტურა
7.	კვალიფიკაციის დონე[5]	მერვე
8.	კვალიფიკაციის დასახელება	ისტორიის დოქტორი
9.	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
10.	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
11.	კვალიფიკაციის კოდი[7]	0222
12.	სწავლების ენა	ქართული
13.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
14.	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო 0171, ქ. თბილისი, მ. კოსტავას №77, IV კორპუსი
15.	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 08 იანვარი
16.	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 12 თვე - 2021 წლის 11 იანვრამდე
17.	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 08 იანვარი

---

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი